პროლეტარეზო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 დეკემბერი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 295 (15812)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1973 წლის 19 დეკემბერი. საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის სხდომა.

ალ. ბინიაშვილის ფოტო.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

19 დეკემბრის დილის სხდომა

1973 წელი — მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წელი ბრწყინვალე ფურცლად შევა ჩვენი ხალხის გმირულ მატიანეში როგორც დამკვრელური შრომის წელი. საქართველოს ყველა მშრომელი ხავსებით უჭერს მხარს და იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, მაღალ შეფასებას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს პირად წვლილს მთელი მსოფლიოს შშვიდობის განმტკიცების საქმეში, მის დაუცხრომელ მეცადინეობას ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

შრომითი ენთუზიაზმისა და ჩვენი ხალხის წარმატებებისათვის ხიამაღის ვითარებაში შეიკრიბნენ 19 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები.

მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.

თავმჯდომარეს მაგიდას უსხედან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატები ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები ზ. ნ. გრიგალაშვილი, შ. მ. შაბაია, ლ. ა. ხოზარეანიძე, ა. კ. ხუბაევი.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები ბ. ბ. ბიბიბეერია, პ. გ. ბილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, ზ. ა. პატარიძე, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩურკინი, ბ. ხ. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. უარუარაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მთავრობის წევრები.

ხესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. დ. მაღალაშვილის მოხსენება გამოცულებულის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებათა სამანდატო კომისიის მიერ შემოწმების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დადგინა: ოცნოს 1973 წლის 16 დეკემბერს ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ეიული კალისტრატეს-ძე ბარტავას რწმუნებანი".

სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ხესიას მოახსენა, რომ „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატის სტატუსის შესახებ" კანონისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის განვლვის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად ქალაქ ჭიათურის ზონის სოფლების ზოდისა და წირქვალის კომლეურნეობებისა და ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ბანძის ჩაის ფაბრიკის კოლექტივების საერთო კრებებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა ამის შესახებ, რომ გაიწვიონ დეპუტატები პ. გ. გელეხანიანი და ნ. ხ. ჯავახიძე, რომლებმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს.

ქალაქ ჭიათურის ზოდის საარჩევნო ოლქსა და ვედიდკორის რაიონის ბანძის საარჩევნო ოლქში გაიმართა კენჭისყრა, რომლის შედეგებმა ცხადყვეს, რომ ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა მოითხოვს დეპუტატთა გაწვევას. კენჭისყრა კანონის ზუსტი შესაბამისობით მიმდინარეობდა.

ამრიგად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები პ. გ. გელეხანიანი და ნ. ხ. ჯავახიძე, რომლებმაც არ გაამართლეს თავიანთი ამომრჩევლების ნდობა, გაწვეული არიან უმაღლესი საბჭოდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხეთამ მზედეოლობაში მიიღო სამანდატო კომისიის ცნობა.

მტკიცდება ხესიის მუშაობის დღის წესრიგი. დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმა.
2. საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

მტკიცდება ხესიის მუშაობის რეგლამენტი.

დეპუტატები იწყებენ დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. სიტყვა მოხსენებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ" ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძეს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება „საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ" გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა შ. ა. ანანიაშვილმა.

ცხადდება შესვენება. შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ბ. ნ. გრიგალაშვილი.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების თანამოხსენება, რომელიც გააკეთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ზ. ა. პატარიძემ.

მოხსენებისა და თანამოხსენების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა, დეპუტატები ბ. ვ. ფინკშუბა (ოჩამჩირის რაიონის ოჩამჩირის პირველი საარჩევნო ოლქი), მ. მ. დანელია (ქალაქ თბილისის კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქი), ა. ა. კაპარაპა (ქალაქ ბათუმის ფრუნზეს საარჩევნო ოლქი), ჯ. ი. პატიაშვილი (ლანჩხუთის რაიონის ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი).

დეპუტატთა გამოსვლებში აღინიშნა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დიდი საწარმოო წარმატებანი, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული შრომით უზრუნველყონ მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წელის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალ ამოცანათა წარმატებული შესრულება.

დეპუტატებმა შეაჯამეს გაწეული მუშაობის შედეგები, ალაპარაკეს მომავალი წარმატებებზე და ამავე დროს აღნიშნეს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი. ორატორებმა თქვეს, რომ ჯერ კიდევ ყველა ქარხანამ, ფაბრიკამ, მშენებლობამ, სოფლის მეურნეობის საწარმომ როდი შეასრულა საგეგმო დავალებანი. განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი, რომ საჭიროა შემდგომაც ყოველმხრივ განამტკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, აამაღლონ ხელმძღვანელობისა და თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, აღმოფხვრან მეკრძალეობის, ნათლმამობის, კაჭრობის არასწორი შერჩევის ფაქტები.

ორატორთა ყველა შენიშვნა და პრაქტიკული წინადადება გამჭვალული იყო დიდი ზრუნვით სახელმწიფოს ინტერესებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

დეპუტატებმა დაწვრილებით, საქმიანად განიხილეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და ბიუჯეტი, ამასთან აღნიშნეს, რომ ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა და ბიუჯეტი ახალი დიდი წვლილი იქნება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

ამით საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დღის სხდომა დასრულად ცხადდება.

19 დეკემბრის საღამოს სხდომა

15 საათზე დეპუტატები კვლავ შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის საღამოს სხდომამ.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი შ. მ. შაბაია.

დეპუტატებმა განაგრძეს განხილვა მოხსენებებისა „საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ" ანგარიშებზე.

შემდეგ საბოლოო სიტყვა „საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ" მოხსენების გამო წარმოთქვა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა შ. ა. ანანიაშვილმა.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და დაამტკიცა საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა მოხსენება სესიის შუა პერიოდში მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომელიც გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. კვაჭაძემ.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს ხესიის შუა პერიოდში მიღებული და უმაღლესი საბჭოს მიერ დასამტკიცებელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

ამით საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მუშაობა დაამთავრა.

(საინფორმაციო).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელთა შეხვედრა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის ლ. ი. ბრეჟნევის 1973 წლის 17-19 დეკემბერს საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იყო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი.

ლ. ი. ბრეჟნევსა და ე. გერეკს შორის გაიმართა გულითადი, ამხანაგური საუბრები.

ორი მოძმე პარტიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთი ქვეყნების სოზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ძირითად საკითხებზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგებსა და ამოცანებზე, რომლებზეც მუშაობენ სრულყოფისა და ახალი პროგრესული ფორმების ძებნისათვის.

მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ საჭიროა კვლავაც განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მეცნიერული კვლევისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების კოორდინაციისათვის, რაც საშუალებას იძლევა უფრო ეფექტიანად გადაწყვეტონ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა შეერთების ამოცანა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ტრადიციული თანამშრომლობის გაფართოების დასახული ღონისძიებანი კარგი წვლილი იქნება სოციალისტური თანამგრძობის შემდგომ განმტკიცებაში, კერძოდ, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელებისათვის მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გასვეს ხაზი მოძმე პარტიათა ხელმძღვანელების ყირიმის 1973 წლის შეხვედრის დასკვნების დიდ მნიშვნელობას.

გაიმართა აზრთა გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე. აღინიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნების თანმიმდევრული პოლიტიკის, მთელი პროგრესული და შშვიდობისმოყვარე ძალების აქტიური მოქმედების შედეგად მიღწეულია საერთაშორისო ატმოსფეროს არსებითი გაჯანსაღება. ხალხები მხურვალედ უჭერენ მხარს დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების პოლიტიკას. ე. გერეკმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ მშვიდობის პროგრამას, საერთალიანი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში საბჭოთა კავშირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის წვლილს.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა პოლონეთის აქტიური საქმიანობა სოციალისტური თანამშრომლობის ქვეყნების ერთობლივი სამშვიდობო პოლიტიკის რეალიზაციისათვის.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა სოფლიოს იმპერიალისტური რეაქციის ბრიკების მიმართ, რომელიც ცდილობს ხელი შეუშალოს დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს ევროპაში ვითარების გუმანიტარულების ამის და დადასტურეს, რომ მზად არიან კონსტრუქციული წვლილი შეიტანონ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობა-სადმი მიძღვნილი თათბირის წარმატებით დამთავრებაში. ლ. ი. ბრეჟნევსა და ე. გერეკს მიაჩნიათ, რომ თათბირის საბოლოო ეტაპის მოწყობა უმაღლეს დონეზე შეესაბამება თათბირის ყველა მონაწილე ქვეყნის ინტერესებს. ეს შესაძლებელს გახდის გადასაწყვეტ ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ისტორიულად ხანლელ პერიოდში ევროპის ხალხთა მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფას.

ლ. ი. ბრეჟნევმა ე. გერეკს გააცნო ინდოეთის რესპუბლიკაში თავისი ვიზიტისა და საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მოლაპარაკების შედეგები. ე. გერეკმა აღნიშნა, რომ ვიზიტის შედეგებსა და ამ ვიზიტის დროს ხელმოწერილ დეკლარაციას დიდი მოწონებით შეხვდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, როგორც აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას დიდმნიშვნელოვან ფაქტორს.

საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს, რომლებიც მტკიცედ უჭერენ მხარს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის -არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას, მიაჩნიათ, რომ საჭიროა უზრუნველყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ამ ცნობილი რეზოლუციების განუხრელად შესრულება, რომლებიც ეხება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაჭრას. ამასთან ისიც მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების ძირითადი ელემენტი კვლავ არის 1967 წელს ისრაელის მიერ ოუპაციებული ყველა არაბული ტერიტორიის განთავისუფლების, აგრეთვე პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა უზრუნველყოფის საკითხი. უამისოდ წარმოუდგენელია მყარი შშვიდობა და უშიშროება ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის.

მხარეებმა გადაჭრით დაგმეს საიგრანის რეჟიმი, რომელიც კვლავ ირღვევს პარიზის შეთანხმებას, და განაცხადეს, რომ უცვლელად უჭერენ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის პოზიციებს, რომლებიც იღებენ ამბობენს, რომ ამ შეთანხმების განუხრელად ასრულებდეს ყველა მხარე მონაწილე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ სრული სოლიდარობით ეკიდებიან ჩილეელ ხალხს, რომელიც იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობის ეკონომიური და სოციალური პროგრესის გზით განვითარების უფლებისათვის. მათ გადაჭრით დაგმეს ჩილეს რეაქციის მოქმედება, რამაც გამოიწვია სახალხო ერთიანობის კანონიერი მთავრობის დამხობა, მასობრივი ტერორი და სისხლისღვრა. მტკიცედ რწმენა გამოთქვეს, რომ რეაქციული ძალები ვერ გატეხენ თავისუფლებისმოყვარე ჩილელი ხალხის ნებას.

საუბრების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოძმე ქვეყნების წარმატებანი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. დიდი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში უდიდესწილად არის მათი მჭიდრო ერთიანობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შედეგი. სსრ კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ყველა თავის მოქმედებაში კვლავაც იხელმძღვანელებენ იმით, რომ საჭიროა მომძე სოციალისტურ სახელმწიფოთა შეკავშირების ყოვლმხრივ განმტკიცება.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. გერეკის შეხვედრამ ცხადყო ყველა განხილულ პრობლემაზე ორივე მხარის შეხედულებათა სრული ერთიანობა.

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 18 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორი ნგუენ ჰიუ თხო.

სადილის დროს სტუმრებს ხიტყვით მიმართა ნ. ვ. პოდგორნიმ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა დოქტორმა ნგუენ ჰიუ თხომ.

ნ. ვ. პოდგორნიხა და ნგუენ ჰიუ თხოს სიტყვები დამოწმენებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

19 დეკემბერს კრემლში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნიხა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, ბ. ნ. ბოგორეანოს და ა. ბ. ბუსოევის, ოცეულის შეთაურის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ეროვნული ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ეროვნული ეროვნული ეროვნული

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სესიის განსახილველად შემოაქვს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის გეგმის პროექტი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის გეგმის შემადგენელ ნაწილს.

როგორც მოგეხსენებათ, ამ დღეებში შედგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა და ძირითადად მოიწონა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები.

პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის XXIV ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის, დიბულებები და დასკვნები, ჩამოყალიბებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გამოსვლაში ამ პლენუმზე.

პლენუმმა ცნო, რომ 1974 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას განსაზღვარული მნიშვნელობა ექნება მთლიანად ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის.

თქვენს განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებას 1974 წლის სახელმწიფო გეგმა შედგენილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების და მისი ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების დადგენილებათა შესაბამისად. გეგმაში ასახა ლენინისეული პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი გადაწყვეტილებით დასახული ამოცანების განსახორციელებლად. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების შუამობაში ოცდაწლიანი წლების გამოვლინილი სერიოზული ნაკლოვანებების, შეცდომების და დაუდევრობის ლიკვიდაცია. პარტიის მიერ აღებული კურსის შესასრულებლად მომთხოვნელობის ამაღლების სისტემატური განხორციელება. შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, მოშაობის ლენინური სტილის აღდგენა მართვის ყველა რგოლში ხელს შეიწყობს ინიციატივა-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის დონის ამაღლებას.

სამრეწველო საწარმოთა, შენიგნობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების თარეთოდ გაშლა, მეურნეობის დაგეგმვისა და სოციალისტური გაძღოლის თარეთოდ შემდგომი სრულყოფა შექმნის ყველა პირობას სკკპ XXIV ყრილობის მიერ დამტკიცებული მეოცე ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა წარმატებით განსახორციელებლად.

სანამ მოგახსენებდეთ 1974 წლის გეგმის ძირითად დავალებებს, მოკლედ შეგახსენებ 1973 წლის და ხუთწლედის სამ წლიწადში ჩვენი რესპუბლიკის განვითარების მთავარ შედეგებს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლისა და ხუთწლედის სამი წლის შედეგები

ამხანაგო დეპუტატებო! ხუთწლედის პირველ სამ წლიწადში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობამ მიიღწია შემდგომ განვითარებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მიღებულ ღონისძიებათა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გაწეული დიდი მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის ძირითადი მაჩვენებლები მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება.

წარმოებული პროდუქციის შემოსავალი 1973 წელს გაიზრდება 4 პროცენტამდე 1971–1972 წლების საშუალოდან 2,1 პროცენტის ნაცვლად, ე. ი. გადააჭარბებს ორი წლის საშუალოს 1,7-ჯერ.

უკანასკნელ წლებში პროდუქციის შემოსავალში მოხდა დადებითი ძვრები — გადანაწილება მოხმარების ფონდის სასარგებლოდ.

1973 წელს სამრეწველო წარმოება გაიზრდება 7 პროცენტით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4,4 პროცენტისა, ხოლო 1970 წელთან შედარებით 13,6 პროცენტით.

გადაჭარბებით შესრულდება მრავალი მნიშვნელოვანი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა.

ავტომობილთა მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება ძირითადი საწარმოო ფონდები.

ხუთწლედის სამ წლიწადში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ყველა ხარჯზე კაპიტალური დაბანდებანი 3040 მილიონ მანეთს მიაღწევს, მათგან 1973 წელს — 1015 მილიონ მანეთზე მეტს. ამ პერიოდისათვის რესპუბლიკის ძირითადი საწარმოო ფონდები წინასწარი გაანგარიშებით გაიზრდება 1700 მილიონი მანეთით, ანუ 26 პროცენტით.

1973 წლის გეგმით გათვალისწინებულ ასამშენებელ ობიექტებზე კაპიტალდაბანდებათა კონცენტრაციისათვის მიღებულმა ზომებმა დააჩქარა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ობიექტების შვინგრობა. 1973 წლის 11 თვეში 1972 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ძირითადი ფონდების ამოქმედება გაიზარდა 41 პროცენტით.

რესპუბლიკის მრეწველობის მიერ შექმნილია მანქანების, მოწყობილობების, ხელსაწყოებისა და მასალების ახალი სახეობანი, ათასეულობით 40-მდე ფასახელების ახალი სახეობის ნაკეთობანი. რომლებიც თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზეა. ხუთწლედის სამ წლიწადში მიღნიერების განვითარებაზე დანახარჯებმა შეადგინა 129 მილიონ მანეთზე მეტი.

ვითარდება ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა.

XXIV ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად ორიენტირებულია ლენინისეული ნორმა ლენინგრადი ხალხის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

1971–1973 წლებში ხელფასები გაუთანაბრდა მასწავლებლებს, ექიმებს, სკოლამდელი დაწესებულებების ბავშვთა აღმზრდელებს. ნორიკელდება ლენინისეული ნორმა მოშუაგე ქალთა შრომისა და ოჯახური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ყველა დაუპაუო სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს სპეციალური უზრუნველყოფის გაზრდისათვის. გაიზარდა საერთო მრეწველობაში ღამით მუშაობისათვის.

1973 წელს რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1972 წლთან შედარებით გაიზარდება 4,5 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 4,6 პროცენტით. წინასწარი ანგარიშებით რესპუბლიკაში ხუთწლიანის სამ წლიწადში რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზრდება 17,8 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 14,1 პროცენტით.

თერთო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდამ განაპირობა საცალო საქონლებრივნების ზრდა სამ წლიწადში 21,9 პროცენტით. ხოლო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობისა — 42,6 პროცენტით.

ხუთწლედის სამ წლიწადში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდება 2500 ათასი კვ. მ. საერთო თვრთობის საცხოვრებელი სახლები, რაც გაუმჯობესებს 50 ათასი ოჯახის საბინაო პირობებს. შემდგომი განვითარება მიიღო განათლებამ, კულტურამ, ჯანმრთელობის დაცვამ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სახეობის პროდუქტების წარმოების გეგმის შეუსრულებლობის შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში შეიქმნა ზოგიერთი ხარვეზი.

საწარმოო სიმძლავრეების ექსპლუატაციიდან დროულად ამოქმედების ამოცანა ბოლო ორი ხუთეული ბოლოს ვერ ამოიწურა. ეს ამ ფაქტებზე ასახულ ეკონომიკურ ეფექტს ამცირებს. ეს ფაქტორი ასევე ამცირებს ეფექტიანობას ინვესტიციებზე, ძირითადი ფონდების ამოქმედებაზე, ნედლეულზე, საბინაო მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირზე, ნავთობზე, ნავთობპროდუქტებზე, ფოლადზე, ფერადი ლითონებზე, ცემენტზე, ხეზე, ბამბაზე, ბოჭკოზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, ბინებზე, ავტომობილებზე, ტელევიზორებზე, ბაზრებზე, ბინამოქალაქეებზე, ბინამოქალაქეებზე, ბინამოქალაქე

დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენების დასასრული

თამდე. დასახელია ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები და 1974 წელს დაიწყება თბილისი-ლანამუსას 110 კილოვოლტი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რაც 1975 წელს უზრუნველყოფს მესტიის რაიონს ელექტროენერგიით. გათვალისწინებულია ავრეთვე ახალი ელექტროქსელების მშენებლობა.

შავი ზღვისპირეთის ხაზით ამოქმედდება ზუტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში დანადგარი მარგანეცის მადნის დაბრიკეტებისათვის 300 ათასი ტონა წლიური სიმძლავრით, 450 ათასი ტონა მარგანეცის საბადოს და 177 ათასი ტონა მარგანეცის კონცენტრატის წლიური სიმძლავრენი ჭიათურაში.

ქიმიურ მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სიმძლავრეები: მარგანეცის ელექტროლიზური ორეანის საცდელ-სამრეწველო ორადგარი რეუსთავის ქიმიურ კომბინატში, 1,6 ათასი ტონა კაპრონის ბოჭკოსი — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში, 65 ათასი ტონა გრანულირებული საფლოტაციო ბარიტისა — ჭათაოსის ლითოფონის ქარხანაში და სხვ.

ნავთობის და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტის და სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით მომარაგების დარგში ცენტრალიზებული კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შეადგენს 7,1 მილიონ მანეთს.

მუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით კაპიტალური დაბანდება წარიმართება ჭუთაისისა და სოფლიის სამკერვალო ფაბრიკების, შულავერის მატყლის საქრეცხი საწარმოს და თბილისის ფაბრიკა „საკტრიკოტაჟის“ სამღებრო-საგამომყვანო საწარმოს დამთავრებაზე. გაგრძელდება ქალაქსანიასა და ფაიფურის ქარხნის მშენებლობა ზუგდიდში. მნიშვნელოვნად შეიცვლება და განახლდება მოჭრილ საწარმოებში მანქანა-დანადგარები. გარდა ამისა, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 31 ათასი კვ. მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები და 280 ადგილიანი საბავშვო ბაღები.

კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცემა ხილის, ბოსტნეულის კონსერვების, ღვინომასალის, საკონდიტრო ნაწარმის სიმძლავრეები და ამოქმედდება მაცივრების ახალი ტევადობები.

1974 წლისათვის გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობის პროგრამა უზრუნველყოფს ეკონომიური პოტენციალის შემდგომ გაფართოებას, ხალხის ცხოვრების პირობებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებას.

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს რესპუბლიკაში, ისევ როგორც სიბეთოთა კავშირში, 1974 წლის გეგმით გათვალისწინებული ეროვნული შემოსავლის ზრდა, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდება საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი გაიზრდება 3,5 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 9 და მეტი პროცენტით, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები — 8,7 პროცენტით.

შემდგომ განვითარდება ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

1974 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა გათვალისწინებულია 3 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც 1973 წელთან შედარებით 9,5 პროცენტით მეტია.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საქონელბრუნვის სტრუქტურა. გაიზრდება სასურსათო საქონლის საბაზრო ფონდები, ხანგრძლივი მოხმარების საგნებისა და მუშაკეკი ავტომობილების გაყიდვა.

სახალხო მოხმარების საქონლის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გაფართოვდება საქონლის ასორტიმენტი, გაუმჯობესდება მისი ხარისხი. განსორციელდება ღონისძიებები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გათვალისწინებულია 100,8 მილიონი მანეთის ოდენობით, მთ შორის სოფლად — 26,7 მილიონი მანეთი, რაც 1973 წლის მოსალოდნელ დონეს აღემატება შესაბამისად 10,4 და 17,8 პროცენტით. უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდება ინდივიდუალურ მფლობელთა სატრანსპორტო საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება, გამქირავებელი პუნქტების მომსახურება გადიდდება 23 პროცენტით და გაუმჯობესდება სხვა სახეობათა მომსახურება.

1974 წელს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1 მილიონ 233 ათასი კვ. მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები ნაცვლად 1 მილიონ 163 ათასი კვ. მეტრისა ხუთწლედის გეგმით, რაც უზრუნველყოფს 25 ათასი ოჯახის საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილებას.

კომუნალურ მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებები შეადგენს 37,89 მილიონ მანეთს. გათვალისწინებულია ამოქმედდეს: 216 კმ წყალსადენების ქსელს, 79 კმ საკანალიზაციო ქსელს, 120 კმ გაზის, თითქმის 16 კმ თბრქსელების სიმძლავრეები. ოწყობრში ჩადგება 10 კმ სგრძის სატროლეიბუსო ხაზები, 4,7 კმ ტრამვაის ხაზები. გაბიფიცირებული ბინების რაოდენობა გადიდდება 50 ათასით, გათვალისწინებულია აგრეთვე კომუნალური მეურნეობის სხვა ობიექტების შენებლობა.

ეთმდგომ განვითარდება განათლება, კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. აშენდება სკოლები 38,7 ათასი სასწავლო ადგილით. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესაბამისად სოფლად აშენდება სკოლები 30 ათასი სასწავლო ადგილით, სასკოლო შენობები 10,5 ათასი სასწავლო ადგილით მეტით, ვიდრე ხუთწლედით იყო ნავარაუდევი.

საოლამდელი ასაკის დაწესებულებებში ბავშვთა კონტინგენტი საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში მიაღწევს 113,5 ათას კაცს.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული იქნება 12500 სტუდენტი, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 16500 მოსწავლე.

გათვალისწინებულია მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესება. მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი გაიზრდება 156 ერთეულით, საკლუბო დაწესებულებების რაოდენობა კი მიაღწევს 1953 ერთეულს.

1974 წელს საავადმყოფო საწოლების საერთო რაოდენობა მიაღწევს 46,29 ათასს და ყოველ 10 ათას მცხოვრებზე საშუალოდ იქნება 98,8 საწოლი.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობასთან ერთად მნიშვნელოვნად განვითარდება ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკა და კულტურა.

თვითეული ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მეურნეობის განვითარების გეგმის ძირითადი მაჩვენებლები ასახულია თქვენთვის დარიგებულ მასალებში. ამიტომ დაწვრილებით ამ საკითხებზე თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებ. ნება მიბოძეთ მხოლოდ აღვნიშნო, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში 1974 წლის გეგმა ითვალისწინებს მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას. რაც ხელს შეუწყობს მრეწველობის, სოფლის მეურნეობას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესებას, მათს გაფართოებას, ახალ საწარმოთა მშენებლობას, ელექტროენერგეტიკულ საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის ზრდას, ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის მომსახურე სხვა ქსელის გაუმჯობესებას.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის გეგმით გათვალისწინებული ძირითადი დავალებანი, რომლებსაც თქვენ გაეცანით, უეჭველად იმის დამტკიცებია, რომ მათში ასახულია ჩვენი პარტიისა და მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს.

1974 წლის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებანი რეალური, ფაქტიური მასალებზე, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ეფექტურ გამოყენებაზე, ეკონომიკის ინტენსიფიკაციაზე, ეფექტურ შემოქმედებაზე, ეფექტურ ეკონომიკაზე, ეფექტურ ეკონომიკაზე, ეფექტურ ეკონომიკ

დეპუტატ ფ. ა. ანანიაშვილის მოხსენებიდან

აშენდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რემონტისა და შენახვის სახსრები საგზაო სამუშაოებზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო და სხვა საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის ხარჯზე.

1974 წლის ბიუჯეტის პროექტში ამ სახსრების შემოსვლა გათვალისწინებულია 29 მილიონზე მეტი მანეთის ოდენობით და აღემატება მიმდინარე წლის სახსრებს 35,4 პროცენტით.

საგზაო სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების სწორად ხარჯვაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით საავტომობილო გზების სამინისტრომ და მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა აღმასკომებმა უნდა გაანალიზონ მომთხოვნელობა ადგილობრივი საგზაო ორგანოების მუშაკებისადმი ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ხარისხის უზრუნველსაყოფად და გზების შესანახად გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად გამოყენებისათვის.

1974 წლის ბიუჯეტის პროექტით **კაშენრბამშენლობის** საშუალებების **განათლების** ხარჯები განსაზღვრულია 18,3 მილიონი მანეთით, ანუ მიმდინარე წელთან შედარებით 1 მლნ მანეთით მეტი.

გათვალისწინებულია სოფლად სატელეფონო კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარება და ქალაქის სატელეფონო და საფოსტო კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის ხარჯები გადიდება.

უკანასკნელ ხანებში კავშირგაბმულობის საწარმოებმა გაუმჯობესეს მუშაობა, უზრუნველყვეს შემოსავლის და მოგებიდან ბიუჯეტში გადასახდელების გეგმების შესრულება.

ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი თბილისს ავტომატური ტელეფონის საფეხურზე. კავშირგაბმულობის საწარმოებში ჯერ კიდევ არასრულად გამოყენებულია საწარმოო სიმძლავრეები.

1974 წელს **ადმშენალური** და **საგზაო** მმართველობის შემდგომი განვითარების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 133 მილიონი მანეთი.

ამ სახსრებიდან მარტო საბინაო მეურნეობისათვის გამოყოფილია 40,2 მილიონი მანეთი, რომლიდანაც საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის დაიხარჯება 10,7 მილიონი მანეთი.

ბიუჯეტში კეთილმოწყობის ობიექტებისათვის გათვალისწინებულია 66 მილიონ მანეთზე მეტი. ამ სახსრების რაციონალური გამოყენება კიდევ უფრო გაალამაზებს რესპუბლიკის ქალაქებს, რაიონულ ცენტრებსა და დასახლებულ პუნქტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს კეთილმოწყობაზე ბიუჯეტიდან გამოიყოფა მნიშვნელოვანი თანხები, ქალაქის მეურნეობა თვლ რიგ შემთხვევებში ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებსაც კი.

ამ სახსრების და მათ შორის არაცენტრალიზებული კაპიტალური მშენებლობისათვის განკუთვნილი ასიგნებების დანიშნულების მიხედვით გამოყენების საკითხი კიდევ ერთ ახალ წინაღობას ეფრდება. მიმდინარე წლისათვის ამ დანიშნულებით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 19,5 მილიონი მანეთი და მათი დახარჯვა კი დიდხანს არ ხერხდებოდა სათანადო ღონიძღების უქონლობის გამო. მხოლოდ წლის მეორე ნახევარში, ისიც არასრული ოდენობით (7 მილიონი მან) მიიღეს რესპუბლიკის ქალაქებმა და რაიონებმა ამ სახსრების ხარჯვის ნებართვა.

ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს ამხანაგებს, რომლებმაც გუშინ პლენუმზე გულისტკივილით აღნიშნეს, რომ არსებული სახსრები ვერ იქნა გამოყენებული ღონიძღების უქონლობის გამო.

ფრაზად ადგილი აქვს შეუსაბამობას არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წესაროებსა და ლიმიტების შორის, არის შემთხვევა, როცა ლიმიტი არის გამოყოფილი, ხოლო დაფინანსების წყარო არ არის განსაზღვრული და პირიქით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განიხილავს ამ საკითხს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

1974 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 6.672 ათასი მანეთი 60 ათასი ბინის **ბაზისიკაციისათვის.**

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **სცალე** საქონელბრუნვა მიმდინარე წლთან შედარებით 1974 წელს გაიზრდება 9,5 პროცენტით და მიაღწევს 3 მილიარდ მანეთს. მოსახლეობას მიეყიდება 260 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე მიმდინარე წელს.

მომავალ წელს ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო ვაჭრობის განვითარების საჭიროებისათვის დაიხარჯება 42 მილიონი მანეთი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს განვახორციელოთ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა გადაუდებელი ღონისძიებები.

უნდა აღინიშნოს, რომ 1973 წელს საქონელბრუნვის გეგმის შესრულება მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად. საქონლის ზენორმატიულმა ნაშთმა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის მიაღწია 82,8 მილიონ მანეთს. დიდი მუშაობაა ჩასატარებელი ამ სასაქონლო ნაშთების შესამცირებლად, რაც პირველ რიგში უნდა ჩატარდეს სასაქონლო რესურსებით მანევრირებისა და ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებით.

1974 წელს გათვალისწინებულია **მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების** შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით სოფლად. ამ ღონისძიებებისათვის დაიხარჯება 22 მილიონ მანეთზე მეტი, მათ შორის ქსელის აღჭურვისა და განვითარებისათვის დამატებითი ასიგნება 1 მილიონ მანეთის ოდენობით. პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესაბამისად, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება სახალხო მეურნეობის მსხვილი მექანიზებული დარგი უნდა გახდეს.

ადგილობრივი მნიშვნელობის **ავტომობილური გზების** **სამშენებლო** **სამმართველოებმა** **ბიუჯეტი** **ადგილობრივ** **ბიუჯეტებ**

ამ **ბ**

ბ

ბ

**